რჩევა - გაიხადე გზად და ხიდად

ნურასოდეს ნუ აჰყვებით სხვის დამცინავ ხმას,
ნურავისზე ცუდს ნუ იტყვით, სხვამ რაც უნდა თქვას,
ნურასოდეს გაუცინებთ ბოროტსა და ავს,
ნურასოდეს ნუ დახუჭავთ სიცრუეზე თვალს.

ნურასოდეს მიითვისებთ სხვის გაკვალულ გზას,
და თქვენივე დიდებისთვის ნუ გასწირავთ მას,
ნურასოდეს შეგშურდებათ, ნურასოდეს რაც,
არც არასდროს გქონიათ და არც ინატროთ, არც.

ნურასოდეს მიატოვებთ მობარბაცე მთვრალს
და ნურავის დაამადლებთ გაკეთებულ კარგს
და მცდარ გზაზე ნუ გაუშვებთ გზაარეულ ქალს.

ნურასოდეს ნუ მოახვევთ თქვენს სატკივარს სხვას,
ბოლო ლუკმა გაუწოდეთ გაჭირვებულ მგზავრს,
ნურასოდეს თქვენ ნუ იტყვით ხვალ თქვენსავე კარგს,
სხვამ რაც უნდა გააკეთოს, სხვამ რაც უნდა ქნას.

ნურასოდეს დაიშურებთ, თუ კი რამე გაქვთ,
უმადურსაც ნურასოდეს ნუ გაიხდით გზად,
ვერასოდეს ვერ წაგაქცევთ გაჭირვება მთლად,
სანამ ქვეყნად ძვირფასებო ერთმანეთი გყავთ.

შენიშვნა: ეკლესიის უცნობი მსახურის უსათაურო ლექსი, რედაქტირებულია ჩემს მიერ. ერთ-ერთი მოხუცი ქალის კომენტარი იყო ასეთი: „ამინ, ღმერთმა შეგვაძლებინოს“. გთხოვთ, გაავრცელოთ.